

# საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს

## სადისციპლინო კოლეგიის მიერ 2004 წელს განხილული საქმეები

შედგენაზე და განზოგადებაზე პასუხისმგებელი პირი - ირაკლი გვარამაძე (სადისციპლინო კოლეგიის მრჩეველი)

№	მოსამართლე	საბაზი	საქმის კატეგორია	დარღვევის ფაბულა	დარღვევის შინაარსი	გადასინჯვის რაოდენობა	კანონის ნორმა	ნორმის შინაარსი	გადადგომის სახე	სახდელი	გასაჩივრების შედეგი
1	მოსამართლე	სხვა მოსამართლე	ადმინ.	განსჯადობის წესების დარღვევა	ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი გამოვლენილ იქნა ერთი რაიონის ტერიტორიაზე (შესასვლელთან), ხოლო საქმე განიხილა სხვა რაიონის სასამართლომ	1	ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილი	ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას	გამართლდა	კერძო სარეკომენდაციო ბარათი	
			ადმინ.	ჩამორთმეული ქონების ზედის არ გადაწყვეტა	ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებულ დადგენილებაში არ არის მითითება ჩამორთმეული ქონების შემდგომი განკარგვის საკითხზე	1	ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 266-ე მუხლი	საქმეზე მიღებულ დადგენილებაში უნდა გადაწყდეს ჩამორთმეული ნივთებისა და დოკუმენტების საკითხი	კანონის უხეში დარღვევა		
			ადმინ.	სავალდებულო საბუთების ნუსხაზე მსჯელობის არ ქონა	სასამართლოს დადგენილებით და სამართალდარღვევის ოქმით არაა დაზუსტებული, რა საბუთები უნდა ჰქონოდა ადმინისტრაციულ პასუხისმგებელში მიცემულ პირს, სასამართლომ ცალსახად გაიზიარა შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მითითება, რომ სამართალდამრღვევს საწვავი გადაჰქონდა საჭირო საბუთების გარეშე	1	ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 266-ე მუხლი	საქმეზე მიღებულ დადგენილებაში უნდა გადაწყდეს ჩამორთმეული ნივთებისა და დოკუმენტების საკითხი	კანონის უხეში დარღვევა		
			ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა არაუფლებამოსილი პირის მიერ	მოსამართლემ არ გაითვალისწინა ის, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილ იქნა საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონის თანამშრომელთა მიერ, მაშინ როდესაც ამ დროს აღნიშნული ლეგიონი წარმოადგენდა ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულს							
2	მოსამართლე	სხვა მოსამართლე	ადმინ.	ადმინისტრაციული ორგანოსათვის მოქმედების განხორციელების არასწორად დავალება	მოსამართლემ გამოიტანა განჩინება სარჩელის აღმვრამდე ადმინისტრაციული ორგანოსათვის მოქმედების განხორციელების დაგეგმვის შესახებ - რეგიონალურ საბაჟოს დაევალა დაუყოვნებლივ განხორციელებინა შპს-ს მიერ საქართველოში საიმპორტოდ შემოტანილი საქონლის განბაჟება. აღნიშნულით მოსამართლემ დააკმაყოფილა არა შუამდგომლობა სარჩელის აღმვრამდე უზრუნველყოფის შესახებ, არამედ ფაქტობრივად დააკმაყოფილა სარჩელი და მოპასუხეს დაევალა საქონლის განბაჟება	1	საბაჟო კოდექსის 99-ე მუხლი	საბაჟო გაფორმების პროცედურები იწყება მხოლოდ საბაჟო-სატვირთო დეკლარაციის წარდგენის შემდეგ	კანონის უხეში დარღვევა	შენიშვნა	
			ადმინ.	განჩინებაში გასაჩივრების შესაძლებლობის არ განმარტება	სასამართლომ ისე გამოიტანა დროებითი განჩინება მოქმედების განხორციელების შესახებ და ისე მიაკცია იგი დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, რომ არ დაუდგენია აღნიშნული განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობა	1	ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილი	გასაჩივრების ვადის დინება დაიწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მონაწილე პირს სასამართლო აქტით განემარტა გასაჩივრების შესაძლებლობა, ორგანო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და წესი	კანონის უხეში დარღვევა		
3		იუსტიციის საბჭო	ადმინ.	ადმინისტრაციულ სარჩელზე ხარვეზის დადგენა სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო	ადმინისტრაციულ სარჩელზე ხარვეზის დადგენა სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო	1	ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი	ფიზიკური პირის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა არ დააბრკოლებს საქმის განხილვასა და გადაწყვეტას	მოსამართლის მოვალეობების არაჯეროდ შესრულება	კერძო სარეკომენდაციო ბარათი	
4		მოქალაქე	სისხლი	გამოსაცემელ ვადად კანონით დადგენილზე ნაკლები პერიოდის განსაზღვრა	განაჩენით პირს მიესაჯა ტუსალობა 1 თვის ვადით, რაც შეეცვალა პირობითი მსჯავრით და გამოსაცემელ ვადად დაუდგინდა 2 თვე	1	სისხლის სამართლის კოდექსის 64-ე მუხლი	ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთის ან უფრო მსუბუქი სახის სასჯელის დანიშნისას გამოსაცემელი ვადა უნდა იყოს არანაკლებ ერთი და არაუმეტეს 3 წლისა	კანონის უხეში დარღვევა	შენიშვნა	
5		იუსტიციის საბჭო	სისხლი	პატიმრობის 12-თვიანი ვადის გასვლის მიუხედავად განსასჯელის დატოვება პატიმრობაში	მოსამართლემ განსასჯელის პატიმრობის 12-თვიანი ვადის გასვლიდან 25-ე დღეს მიმართა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს აღნიშნული ვადის 6 თვით გაგრძელების თაობაზე, რაც არ დაკმაყოფილდა. საერთო ჯამში პირი უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა 31 დღე	1	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის მე-8 ნაწილი	განსასჯელის პატიმრობის ვადა შეადგენს 12 თვეს	კანონის უხეში დარღვევა	მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება	მკაცრი საყვედური და სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლება
6		იუსტიციის საბჭო	სისხლი	არაუფლებამოსილი პირის საჩივრის საფუძველზე აღკვეთის ღონისძიების შეცვლა უფრო მძიმე სახით	გამომიბელების საჩივრის საფუძველზე აღკვეთის ღონისძიების შეცვლა უფრო მძიმე სახის ღონისძიებით	1	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლი მე-7 ნაწილი	მოსამართლეს უფლება აქვს ადრე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება შეცვალოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით ბრალდების მხარის, კერძოდ პროკურორის, დაზარალებულისა და მისი წარმომადგენლის საჩივრის საფუძველზე	კანონის უხეში დარღვევა	მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება	დარჯა უცვლელი

7	მოსამართლე A	იუსტიციის საბჭო	სისხლი	პროცესის მონაწილე მხარეებისათვის მათი უფლებების არ განმარტება (მოსამართლე A)	კერძო ბრალდების საქმის განხილვისას მოსამართლემ დაარღვია საჩივრის მიღების საფუძვლიანობისა და კანონიერების წინასწარი შემოწმების სამართლებრივი საფუძვლები, არ განუმარტა განმცხადებელს შეგნებულად ცრუ დასმენისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე, არ გააცნო საჩივარი პირს, რომლის წინააღმდეგაც იგი იყო შეტანილი, არ გადასცა მას საჩივრის ასლი, არ განუმარტა თვითნებური უფლება-მოვალეობანი მხარეებს, რამაც გამოიწვია საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება.	1	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 628-ე მუხლი	საჩივრის მიღების შემდეგ მოსამართლემ უნდა განუმარტოს განმცხადებელს პასუხისმგებლობა შეგნებულად ცრუ დასმენისათვის და ჩამოართვას ხელწერილი, გამოიძახოს და გააცნოს საჩივარი იმ პირს, რომლის მიმართაც შეტანილია იგი, მიიღოს განმარტება დაზარალებულისაგან ან იმ პირისაგან, რომლის მიმართაც შეტანილია საჩივარი; გამოითხოვოს საჭირო დოკუმენტები; განსაზღვროს სასამართლოში გამოსამაძებელ და დასაკითხ პირთა წრე	მოსამართლის მოვალეობების არაჯეროვნად შესრულება	კერძო სარეკომენდაციო ბარათი - მოსამართლე A; გამართლდა - მოსამართლე B	
8	მოსამართლე A მოსამართლე B	იუსტიციის საბჭო	სისხლი	საჩივრის განხილვა კანონით დადგენილი 15-დღიანი ვადის დარღვევით (მოსამართლე B)	საჩივარი სასამართლოში შეტანილი იქნა 9 ივლისს, ხოლო 19 ივლისს (თავმჯდომარის მ/შ) მოსამართლე B-ს მიერ საჩივარი სისხლის სამართლის საქმესთან ერთად განსახილველად გადაეცა სხვა მოსამართლეს, რომელიც 15 აგვისტომდე იმყოფებოდა შვებულებაში	1	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლი	საჩივარი გამომძიებლის მოქმედებასა და გადაწყვეტილებაზე განხილვა 15 დღის ვადაში	გამართლდა		
			სისხლი	განმწესრიგებელი სხდომის ჩატარება სამართლებრივი საფუძვლების არსებობის გარეშე (მოსამართლე A)	სასამართლომ განმწესრიგებელი სხდომა ჩატარა საამისოდ სავალდებულო შუამდგომლობების არსებობის გარეშე (შუამდგომლობა სამოქალაქო სარჩელისა და მისი უზრუნველყოფის ზომების შესახებ)	1	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის მე-2 ნაწილი	სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომა ტარდება ამავე კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შუამდგომლობების არსებობის დროს	მოსამართლის მოვალეობების არაჯეროვნად შესრულება		
9	მოსამართლე A, მოსამართლე B, მოსამართლე C	იუსტიციის საბჭო	სისხლი	პროკურატურისათვის მოქმედების განხორციელების დავალება კერძო განჩინების გარეშე	სასამართლომ დააკმაყოფილა რა დაზარალებულის შუამდგომლობა მხარეთა მონაწილეობით შემთხვევის ადგილის დამატებითი დათვალიერების შესახებ, იმავე სხდომაზე დააკმაყოფილა შუამდგომლობა იმავე განჩინებით და არა კერძო განჩინებით, და პროკურატურას დაავალა ცალკეული საგამომიებო მოქმედების ჩატარება	1	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-6 ნაწილი	სასამართლოს (მოსამართლეს), რომლის წარმოებაშიცაა საქმე, უფლება აქვს დაავალოს მოკვლევის ორგანოს, გამომძიებელს, პროკურორს ცალკეული საგამომიებო მოქმედების ჩატარება, თუ სასამართლო განხილვის სტადიაზე მისი ჩატარება შეუძლებელია	გამართლდა - მოსამართლე A, მოსამართლე C  შეწყდა - მოსამართლე B (შოეხსნა ბრალდება)	შენიშვნა - მოსამართლე A, მოსამართლე B, მოსამართლე C	
			სისხლი	შუამდგომლობის განხილვა პროკურორის მონაწილეობის გარეშე	განსასჯელმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს დაცვის მტკიცებულებათა წარდგენის გარეშე საქმეზე გამამართლებელი განაჩენის გამოტანის თაობაზე. სასამართლომ აღნიშნული სხდომა ჩატარა პროკურორის მონაწილეობის გარეშე	1	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 446-ე მუხლი	სასამართლო განხილვაში პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა, პროკურორის გამოცხადებლობის შემთხვევაში საქმე უნდა გადაიდოს	მოსამართლის მოვალეობების არაჯეროვნად შესრულება		
10		იუსტიციის საბჭო	ადმინ.	სააღსრულებო ფურცლის არ გაცემა	მოქალაქემ სამჯერ მიმართა სასამართლოს სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით, თუმცა საქმე ზემდგომ სასამართლოში ისე გადაიგზავნა რომ სააღსრულებო ფურცელი არ გაცემულა	1	"სააღსრულებო წარმოებათა შესახებ"	სააღსრულებო ფურცელი გაიცემა იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ექვემდებარება აღსრულებას	მოსამართლის მოვალეობების არაჯეროვნად შესრულება	კერძო სარეკომენდაციო ბარათი	
11		იუსტიციის საბჭო	ადმინ.	საქმის აცილება სამართლებრივი საფუძვლების არსებობის გარეშე	მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლემ აიცილა საქმის განხილვა იმ მოტივით, რომელსაც არ იცნობს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა	1	სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-31 მუხლები	მოსამართლის აცილების სამართლებრივი საფუძვლები	მოსამართლის მოვალეობების არაჯეროვნად შესრულება	შენიშვნა	
				განსჯადობის წესების დარღვევა	ადმინისტრაციული კატეგორიის საქმის განხილვა სამოქალაქო წესით (დავის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე)		ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი	სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები			
				ადმინისტრაციულ საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა	ადმინისტრაციულ საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა		ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი	ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დაუშვებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა			
12		იუსტიციის საბჭო	სისხლი	პირობითი მსჯავრის დაკისრებისას, განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე პირის პატიმრობაში დატოვება	პირობითი მსჯავრის დაკისრების მიუხედავად, პირის პატიმრობაში დატოვება განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, რამაც შედეგად პირის 14 დღით უკანონო პატიმრობა გამოიწვია	1	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 513-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტი	მსჯავრდებული, რომელსაც პირობითად დასდეს მსჯავრი, დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს დარბაზიდან	კანონის უხეში დარღვევა	მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება	დარბა უცვლელი
13	მოსამართლე A, მოსამართლე B, მოსამართლე C	იუსტიციის საბჭო	სისხლი	სისხლის სამართლის საქმის არაგონიერულ ვადაში განხილვა	პატიმრობაში მოყოფი პირის საქმის განხილვის გაჭიანურება 5 თვეზე მეტი ვადით, კოლეგიამ უზენაესი სასამართლო გამოიძიება და ისე ცნო პირი დამნაშავედ, რომ არ უმსჯელია აღნიშნული პირის სამართალში მიცემის თაობაზე	1	ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი	გონიერულ ვადაში საქმის განხილვის უფლება	მოსამართლის მოვალეობების არაჯეროვნად შესრულება	კერძო სარეკომენდაციო ბარათი - მოსამართლე A, მოსამართლე B, მოსამართლე C	
14		იუსტიციის საბჭო	სამოქალაქო	განჩინების გამოტანის ნაცვლად მოქალაქის განცხადებაზე წერილობითი პასუხის გაცემა	მოქალაქემ სასამართლოს მიმართა განცხადებით გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე. მოსამართლემ ნაცვლად განჩინების მიღებისა, მხარეს უპასუხა წერილით.	1	სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლი	გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე სასამართლო იღებს განჩინებას	კანონის უხეში დარღვევა	კერძო სარეკომენდაციო ბარათი	
15	მოსამართლე A, მოსამართლე B, მოსამართლე C, მოსამართლე D, მოსამართლე E	იუსტიციის საბჭო	სისხლი	სისხლის სამართლის საქმის განხილვა განსასჯელის სამართალში მიცემის გარეშე	სასამართლომ ისე გახსნა ძირითადი სხდომა, ისე ჩატარა სასამართლო გამოძიება და ისე ცნო პირი დამნაშავედ, რომ არ უმსჯელია აღნიშნული პირის სამართალში მიცემის თაობაზე	1	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის პირველი ნაწილი	სასამართლო სხდომაზე საქმის განსახილველად საკმარის საფუძვლის არსებობისას მოსამართლე, წინასწარ არ წვევს რა ბრალეულობის საკითხს, გამოიტანს დადგენილებას ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ	კანონის უხეში დარღვევა	შენიშვნა - მოსამართლე A, მოსამართლე B, მოსამართლე C, მოსამართლე D, მოსამართლე E	

16	მოსამართლე A, მოსამართლე B	იუსტიციის საბჭო	სისხლი	ზემდგომ სასამართლოში საქმის გადაგზავნა თვითაცილების განჩინების გამოტანიდან 6 თვის შემდეგ (მოსამართლე A)	მოსამართლემ აიცილა საქმის განხილვა და აღნიშნული საქმის სხვა სასამართლოსთვის დაქვემდებარების საკითხის გადასაწყვეტად იგი გადაგზავნა ზემდგომ სასამართლოში თვითაცილების შესახებ განჩინების მიღებიდან 6 თვის შემდეგ	1	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 108-ე მუხლის მე-11 ნაწილი	როდესაც საქმის განხილველი სასამართლოს მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით აცილებულია რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ შემადგენლობა, საქმე იმავე დონის სხვა სასამართლოში წარმართვის საკითხის გადასაწყვეტად გადაეცემა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. მართლსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, მოსამართლე ვალდებულია, საქმე ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადასცეს დაუყოვნებლივ	საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება	მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება - მოსამართლე A;	დარბა უცვლელი (მოსამართლე A-ს საჩივარი)
			სისხლი	სისხლის სამართლის საქმის არაგონივრულ ვადაში განხილვა (მოსამართლე B)	საქმის განხილვის დასრულება ვერ მოხერხდა 12 თვის განმავლობაში.	1	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის მე-8 ნაწილი	რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას განსაჯელის პატიმრობის ვადა, განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე, საქმის სასამართლოსათვის გადაცემის შემდეგ, არ უნდა აღემატებოდეს 12 თვის	საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება	საყვედურო - მოსამართლე B	
17	მოსამართლე A, მოსამართლე B	იუსტიციის საბჭო	სამოქალაქო	თვითაცილების შემდეგ საპროცესო მოქმედების განხორციელება (მოსამართლე A)	თვითაცილების შემდეგ მოსამართლემ განიხილა მხარის განცხადება გასაჩივრებული ბრძანების მოქმედების შეჩერების შესახებ და არ დააკმაყოფილა იგი	1	სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-31 მუხლები	მოსამართლის აცილება	გამართლდა	მკაცრი საყვედურო - მოსამართლე A;	საყვედურო - მოსამართლე A
			სამოქალაქო	საქმის წარმოების განახლება ისე, რომ არ არსებობდა შეჩერების განჩინება; საქმის განხილვის გაჭიანურება; საქმის განხილვა მოპასუხის გარეშე (მოსამართლე A)	საქმის წარმოების განახლება ისე, რომ არ არსებობდა შეჩერების განჩინება; საქმის განხილვა გაგრძელდა 4 თვის განმავლობაში ისე, რომ საქმეში არ მოიპოვება განჩინება საქმის განხილვის საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე; საქმის განხილვა მოპასუხის გარეშე	1	სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლი	სამოქალაქო საქმეებს სასამართლოები განიხილვენ განცხადების მიღების დღიდან არა უგვიანეს 2 თვისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 5 თვისა სასამართლოს მოვალეობა შეაჩეროს საქმის წარმოება სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით	კანონის უხეში დარღვევა;	მოსამართლის მოვალეობების არააჯეროვნად შესრულება კანონის უხეში დარღვევა;	სასამართლის მოვალეობების არააჯეროვნად შესრულება
			სამოქალაქო	შესაგებლის არასწორად მიჩნევა შეგებებულ განცხადებად (მოსამართლე A)	მოსამართლემ შესაგებელი არასწორად მიიჩნია შეგებებულ განცხადებად და დააკმაყოფილა მოთხოვნა	1	სამოქალაქო საპროცესო კოდექსი	სამოქალაქო საპროცესო კოდექსი	კანონის უხეში დარღვევა;	მოსამართლის მოვალეობების არააჯეროვნად შესრულება კანონის უხეში დარღვევა;	მოსამართლის მოვალეობების არააჯეროვნად შესრულება
			სამოქალაქო	იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის არასწორად დადგენა (მოსამართლე A)	მოსამართლემ მხოლოდ ე.წ. საბრძოლო მოკვლევის დოკუმენტის საფუძველზე დაადგინა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი, რომ პირი იბრძოდა აფხაზეთის ომში ტერიტორიული მთლიანობისათვის	1	სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლი	სასამართლო იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებს ადგენს მხოლოდ ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში	კანონის უხეში დარღვევა;	მოსამართლის მოვალეობების არააჯეროვნად შესრულება	მოსამართლის მოვალეობების არააჯეროვნად შესრულება
			სამოქალაქო	ალიმენტის საქმის განხილვა ვადის დარღვევით (მოსამართლე A); მოსამართლე A-ს მიერ დაწყებული საქმის განხილვა ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გაგრძელდა მოსამართლე B-მ	ალიმენტის გადახდებიდან საქმის განხილვა გაგრძელდა 3 თვისა და 13 დღის განმავლობაში, შემდეგ საქმე ყოველგვარი განჩინების გარეშე განსახილველად გადაეცა სხვა მოსამართლეს	1	სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლი	ალიმენტის გადახდებიდან საქმეებს სასამართლოები განიხილვენ განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 1 თვისა; სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით	კანონის უხეში დარღვევა;	მოსამართლის მოვალეობების არააჯეროვნად შესრულება	მოსამართლის მოვალეობების არააჯეროვნად შესრულება
			სამოქალაქო	გადახდის ბრძანების გაცემა სამართლებრივი საფუძვლების არსებობის გარეშე (მოსამართლე A)	გადახდის ბრძანება ისეა გაცემული, რომ არ არსებობს დავალიანების ფაქტის არსებობის არანაირი დოკუმენტი და მტკიცებულება	1	სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-2 ნაწილი	განცხადება დავალიანების გადახდის ვალდებულების შესახებ უნდა შეიცავდეს წამოყენებული პრეტენზიის დასაბუთებას. განცხადებაში მითითებული მტკიცებულებების შესაბამისი დოკუმენტები დამტკიცებული სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი	კანონის უხეში დარღვევა;	მოსამართლის მოვალეობების არააჯეროვნად შესრულება	მოსამართლის მოვალეობების არააჯეროვნად შესრულება
			სამოქალაქო	გადახდის ბრძანების გაცემა სამართლებრივი საფუძვლების არსებობის გარეშე (მოსამართლე A)	გადახდის ბრძანება ისეა გაცემული, რომ არ არსებობს დავალიანების ფაქტის არსებობის არანაირი დოკუმენტი და მტკიცებულება	2	სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-2 ნაწილი	განცხადება დავალიანების გადახდის ვალდებულების შესახებ უნდა შეიცავდეს წამოყენებული პრეტენზიის დასაბუთებას. განცხადებაში მითითებული მტკიცებულებების შესაბამისი დოკუმენტები დამტკიცებული სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი	შეწყდა (მოხსნა ბრალი)	კანონის უხეში დარღვევა;	მოსამართლის მოვალეობების არააჯეროვნად შესრულება
			სამოქალაქო	დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება მოპასუხისათვის სასამართლო სხდომის დროსა და ადგილის ცნობების გარეშე (მოსამართლე A)	დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება მოპასუხისათვის სასამართლო სხდომის დროსა და ადგილის ცნობების გარეშე	1	სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლი	მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მისთვის ცნობილი იყო სასამართლო სხდომის დრო და ადგილი სსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით	კანონის უხეში დარღვევა;	მოსამართლის მოვალეობების არააჯეროვნად შესრულება	მოსამართლის მოვალეობების არააჯეროვნად შესრულება
			სამოქალაქო	ხარვეზის დადგენა სამართლებრივი საფუძვლების გარეშე (მოსამართლე A)	ხარვეზის განჩინებით სასამართლომ მხარეს მოსთხოვა კონკრეტული მტკიცებულების წარდგენა	1	სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლი	სარჩელის ავტორმა სარჩელში უნდა მიუთითოს მტკიცებულებების შესახებ და მას არ აქვს ვალდებულება ეს მტკიცებულებები წარადგინოს სარჩელთან ერთად	კანონის უხეში დარღვევა;	მოსამართლის მოვალეობების არააჯეროვნად შესრულება	მოსამართლის მოვალეობების არააჯეროვნად შესრულება
			სამოქალაქო	საქმის წარმოების შეჩერება სამართლებრივი საფუძვლების არსებობის გარეშე (მოსამართლე A)	საქმის წარმოება შეჩერებულია "მოსარჩელის ქალაქში დაბრუნებამდე" და "მისი შვილის გამოჯანმრთელებამდე"	1	სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე 280-ე მუხლები	საქმის წარმოების შეჩერების სამართლებრივი საფუძვლები	კანონის უხეში დარღვევა;	მოსამართლის მოვალეობების არააჯეროვნად შესრულება	მოსამართლის მოვალეობების არააჯეროვნად შესრულება

სამოქალაქო	საქმის წარმოების შეჩერება სამართლებრივი საფუძვლების არსებობის გარეშე (მოსამართლე A)	გამოტანილი გადახდის ბრძანებების ჩაბარება ვერ მოხერხდა მევალებზე, რის გამოც მოსამართლემ დაადგინა საქმის განხილვა საერთო სასარჩლო წესით და შემდგომ შეაჩერა საქმის წარმოება.	4	სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე 280-ე მუხლები  სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 308-ე მუხლი	საქმის წარმოების შეჩერების სამართლებრივი საფუძვლები;  თუ მოპასუხე დროულად შეიტანს თავის შესაგებელს სასამართლოში, დავალიანების გადახდევინების შესახებ აღძრული მოთხოვნა განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს სასარჩლო წარმოების საერთო წესით	კანონის უხეში დარღვევა;  მოსამართლის მოვალეობების არაჯეროვნად შესრულება
სამოქალაქო	მესამე პირის დამოუკიდებელი სასარჩლო მოთხოვნით საქმეში ჩაბმა სამართლებრივი საფუძვლების არსებობის გარეშე, საქმის განხილვის ვადების დარღვევა (მოსამართლე A)	მოსამართლემ ისე მიიღო განჩინება მესამე პირის დამოუკიდებელი სასარჩლო მოთხოვნით საქმეში ჩართვის შესახებ, რომ არ არსებობდა ამ მესამე პირის სარჩელი ან რაიმე კონკრეტული სასარჩლო მოთხოვნა	2	სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 88-ე მუხლი	თითოეულ დაინტერესებულ პირს, რომელიც აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, შეუძლია ადრესს სარჩელი ორივე ან ერთ-ერთი მხარის მიმართ	
სამოქალაქო	განჩინებების ხელმოუწერლობა (მოსამართლე A)	ხელმოუწერელია ხარვეზის განჩინება	1	სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლის მე-2 ნაწილი	სასამართლო განჩინებას, რომელიც მიღებულია ერთპიროვნულად მოსამართლის მიერ, ხელს აწერს ეს მოსამართლე, ხოლო თუ იგი მიღებულია კოლეგიური სასამართლოს მიერ, - ყველა მოსამართლე	
სამოქალაქო	ხარვეზის განჩინების ჩაუბარებლად სარჩელის უმოძრაოდ დატოვება (მოსამართლე A)	ხარვეზის განჩინების ჩაუბარებლად სარჩელის უმოძრაოდ დატოვება	1	სამოქალაქო საპროცესო კოდექსი	სამოქალაქო საპროცესო კოდექსი	
სამოქალაქო	საქმის წარმოების შეწყვეტა სამართლებრივი საფუძვლების არსებობის გარეშე (მოსამართლე A)	საქმის შეწყვეტა არაგანსჯადობის გამო, რასაც არ იცნობს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა	1	სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლი	საქმის წარმოების შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები	
სამოქალაქო	კერძო საჩივრის პირდაპირ გადაგზავნა ზემდგომ სასამართლოში, მასზე მსჯელობის გარეშე (მოსამართლე A)	მოსამართლემ განჩინებით შეაჩერა საქმის წარმოება. ხოლო აღნიშნულ განჩინებაზე შემოტანილი კერძო საჩივარი, ყოველგვარი საპროცესო მოქმედებების განხორციელების გარეშე, პირდაპირ გადაგზავნა ზემდგომ სასამართლოში	1	სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლი	კერძო საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად 5 დღის ვადაში უნდა გადაეგზავნოს ზემდგომ სასამართლოს	
სამოქალაქო	სასამართლოს განჩინებებზე ხელმოწერისა და თარიღის არ არსებობა (მოსამართლე A)	სარჩელის წარმოებაში მიღებისა და მოსამართლეს მიერ დადგენილი უთარიღა	1	სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლის მე-2 ნაწილი	სასამართლო განჩინებას, რომელიც მიღებულია ერთპიროვნულად მოსამართლის მიერ, ხელს აწერს ეს მოსამართლე, ხოლო თუ იგი მიღებულია კოლეგიური სასამართლოს მიერ, - ყველა მოსამართლე	
სისხლი	გადაწყვეტილების მიღების ვადის დარღვევა (მოსამართლე A)	კერძო ბრალდების წესით შეტანილი საჩივრების გამო გადაწყვეტილების მიღების 7-დღიანი ვადის დარღვევა	6	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 629-ე მუხლის მე-3 ნაწილი	გადაწყვეტილების მიღების 7-დღიანი ვადა	
სისხლი	საჩივრის განხილვის ვადის დარღვევა (მოსამართლე A)	სისხლის სამართლის შეწყვეტის თაობაზე მიღებულ დადგენილებაზე შეტანილი საჩივრის განხილვა კანონით დადგენილი 15-დღიანი ვადის დარღვევით	2	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის მე-4 ნაწილი	მიღებულ საჩივარს სასამართლო განიხილავს 15 დღის ვადაში	
სისხლი	სისხლის სამართლის საქმის განხილვა ბრალდებულების სამართალში მიცემის გარეშე; საქმეში არის ხელმოუწერელი განაჩენი, არ დევს სხდომის ოქმი; საქმის განხილვა ვადის დარღვევით (მოსამართლე A)	მოსამართლემ ისე ჩაატარა სასამართლო სხდომა, რომ ბრალდებულები არ ყოფილან მიცემული სამართალში; საქმეში არის ხელმოუწერელი განაჩენი, არ დევს სხდომის ოქმი; საქმე განხილულ იქნა საპროცესო ვადის დარღვევით	1	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის პირველი ნაწილი	სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვასთან დაკავშირებით სასამართლოში მიცემის შესახებ	
სამოქალაქო	იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის არასწორად დადგენა (მოსამართლე B)	მოსამართლემ მხოლოდ ე.წ. საბრძოლო მოკვლევის დოკუმენტის საფუძველზე დაადგინა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი, რომ პირი იბრძოდა სამაჩაბლოს ომში ტერიტორიული მთლიანობისათვის	3	სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლი	სასამართლო იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებს ადგენს მხოლოდ ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შემთხვევაში	
სამოქალაქო	გადახდის ბრძანების გაცემა სამართლებრივი საფუძვლების არსებობის გარეშე (მოსამართლე B)	გადახდის ბრძანება ისეა გაცემული, რომ არ არსებობს დავალიანების ფაქტის არსებობის არანაირი დოკუმენტი და მტკიცებულება	1	სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-2 ნაწილი	განცხადება დავალიანების გადახდის ვალდებულების შესახებ უნდა შეიცავდეს წამოყენებული პრეტენზიის დასაბუთებას. განცხადებაში მითითებული მტკიცებულებების შესაბამისი დოკუმენტები დამტკიცებული სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი	
სამოქალაქო	საქმეში სხდომის ოქმის არ ქონა (მოსამართლე B)	საქმეში არ მოიპოვება სხდომის ოქმი	1	სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 287-ე მუხლი	სასამართლოს თითოეული სხდომის შესახებ, აგრეთვე სხდომის გარეშე შესრულებული თითოეული საპროცესო მოქმედების შესახებ, რომელშიც მონაწილეობენ მხარეები, მათი წარმომადგენლები, მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები, ოქმის შედგენა სავალდებულო	
სამოქალაქო	იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის არასწორად დადგენა (მოსამართლე B)	განცხადებას თან ერთვოდა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდნენ განმცხადებლის მონაწილეობას საბრძოლო ოპერაციებში, მიუხედავად ამისა მოსამართლემ მაინც დააკმაყოფილა მოთხოვნა	5	სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 315-ე მუხლი	განცხადებაში უნდა აღინიშნოს, რა მიზნისათვის სჭირდება განმცხადებელს ამ ფაქტის დადგენა, აგრეთვე წარმოდგენილი უნდა იყოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს განმცხადებლის მიერ სათანადო საბუთების მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შემთხვევაში	

სამოქალაქო	მოპასუხის იძულებით მოყვანა (მოსამართლე B)	მოსამართლემ სამოქალაქო საქმეზე დაადგინა მოპასუხის იძულებით მოყვანა, რასაც სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა საერთოდ არ ითვალისწინებს	1	სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78 მუხლები	სასამართლო შეტყობინება და დაბარება	გამართლდა
სამოქალაქო	საქმეში სხდომის ოქმების არ ქონა; სააპელაციო საჩივრის დაგვიანებით გადაგზავნა ზემდგომ სასამართლოში (მოსამართლე B)	საქმეში არ არის 5 სხდომის ოქმი, საქმე არ არის აკინძული და დანომრილი, საქმე ზემდგომ სასამართლოში გადაიგზავნა სააპელაციო საჩივრის შეტანიდან 1 თვისა და 13 დღის შემდეგ	2	სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 287-ე მუხლი	სასამართლოს თითოეული სხდომის შესახებ, აგრეთვე სხდომის გარეშე შესრულებული თითოეული საპროცესო მოქმედების შესახებ, რომელშიც მონაწილეობენ მხარეები, მათი წარმომადგენლები, მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები, ოქმის შედგენა სავალდებულო	კანონის უხეში დარღვევა;  მოსამართლის მოვალეობების არააჯეროვნად შესრულება
ადმინ.	საქმის განხილვა მხარეთა მონაწილეობის გარეშე; უზრუნველყოფის განცხადებისა და სარჩელის დაკმაყოფილება ერთი განჩინებით (მოსამართლე B)	მოსამართლემ უზრუნველყოფის შესახებ განცხადება და სარჩელი განხილვა ერთად და მათზე გამოიტანა ერთი განჩინება	1	ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლი  სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლი	სასამართლო უფლებამოსილია მხარეთა წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ადმინისტრაციული საქმე განხილოს და გადაწყვიტოს მხარეთა დაუსწრებლად პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილების ფორმით	
ადმინ.	ხარვეზის დადგენის გარეშე სარჩელის უმოძრაოდ დატოვება (მოსამართლე B)	სასამართლომ არ დაადგინა ხარვეზი სარჩელზე და პირდაპირ დატოვა უმოძრაოდ	2	სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლი	თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 178-ე და 179-ე მუხლებში მითითებული პირობების დარღვევით ან სახელმწიფო ზაფი არ არის გადახდილი, იგი გამოიტანს განჩინებას ამ ხარვეზის შესახებ და მოსარჩელეს მისცემს ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში არ შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, სასამართლო სარჩელს უმოძრაოდ დატოვებს და მოსარჩელეს დაუბრუნებს	
სამოქალაქო	სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს გაცდენა (მოსამართლე B)	მოსარჩელე ითხოვდა პენსიის დანიშვნას როგორც პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლის შვილი. სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და მოსარჩელე ცნო პოლიტიკურად რეაბილიტირებული გარდაცვლილი პირის ოჯახის წევრად	1	სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი	სასამართლოს უფლება არ აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის რაც მას არ უთხოვია	
სამოქალაქო	საქმის განხილვა არასათანადო მოპასუხის მიმართ (მოსამართლე B)	საქმის განხილვა არასათანადო მოპასუხის მიმართ	1	სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი	მოპასუხეს წარმოადგენს ის პირი რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე	
სამოქალაქო	იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის არასწორად დადგენა (მოსამართლე B)	სასამართლომ დაადგინა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი მასზე, რომ პირი აღიარებულ იქნა შრომისუნარიანი პირის მზრუნველობის გარეშე მყოფ მარტოხელა პენსიონერად	1	სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლი	სასამართლო იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებს ადგენს მხოლოდ ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში	
სამოქალაქო	განცხადების დასაშვებობის განჩინების ნაცვლად, სარჩელის წარმოებაში მიღების განჩინების გამოტანა (მოსამართლე B)	სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინების ნაცვლად, მოსამართლეს უნდა მიეღო განჩინება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების დასაშვებობის შესახებ	1	სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლი	სასამართლომ თავისი ინიაციტივით უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის განახლების შესახებ. თუ არ არსებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლომ თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს. რაც შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით	
სისხლი	საჩივრის განხილვის ვადის დარღვევა (მოსამართლე B)	სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის დადგენილების გაუქმებაზე შეტანილი საჩივარი განხილულ იქნა 5 თვეში	1	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის მე-4 ნაწილი	მიღებულ საჩივარს სასამართლო განიხილავს 15 დღის ვადაში	
სისხლი	განაჩენის დადგენა სამართლებრივი საფუძვლების არსებობის გარეშე (მოსამართლე B)	იმის გამო რომ განსასჯელი იყო სხვა ქვეყნის მოქალაქე, მოსამართლემ აღნიშნული ფაქტი მიიჩნია საკმარის საფუძველად და სისხლის სამართლის საქმე განიხილა განსასჯელის და მისი ადვოკატის მონაწილეობის გარეშე და ისე გამოიტანა განაჩენი	1	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 443-ე მუხლის მე-2 ნაწილი	განსასჯელის დაუსწრებლად საქმის განხილვის სამართლებრივი საფუძველები	
სისხლი	ბრალდებულის წინასწარ პატიმრობაში ყოფნის 9-თვიანი ვადის დარღვევა (მოსამართლე B)	ბრალდებული წინასწარი გამოძიების სტადიაზე, საპატიმრო ვადების გაუგრძელებლად, პატიმრობაში იმყოფებოდა 13 თვისა და 21 დღის განმავლობაში	1	საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი	ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს	კანონის უხეში დარღვევა